



განათლება

1. ფუნქციონალური მიდგომა

სოციოლოგიური თეორიის ერთ-ერთი მიმართულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმ პოზიტიურ ფუნქციას ანიჭებს, რომელსაც განათლება საზოგადოებაში ასრულებს. სოციოლოგი ემილ დიურკემი ხაზს უსვამდა, რომ განათლების მთავარ ფუნქციას დომინანტი კულტურის ღირებულებების გადაცემა წარმოადგენს. მაგრამ, იმის გამო, რომ განსხვავებული საზოგადოების (და თავად ერთი და იგივე საზოგადოებაში) კულტურული მიზნები და ღირებულებები ერთმანეთისგან განსხვავდება, განათლების შინაარსიც განსხვავებულია. მაშინ როდესაც ძველი ათენის მოსახლეობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხელოვნების შესწავლას ანიჭებდა, ძველ რომში კი განათლების მთავარ მიზანს სამხედრო პირებისა და სახელმწიფო მოხელეების აღზრდა წარმოადგენდა. ევროპაში შუა საუკუნეებში მთავარ ყურადღებას ქრისტიანულ სწავლებას ეთმობოდა, რენესანსის ეპოქაში კი კი გაიზარდა ინტერესი ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი. განათლება ხელს უწყობს საზოგადოებაში დამკვიდრებული სოციალური წესრიგის შენარჩუნებას. მაგრამ განათლება ხელს ცვლილებებსაც უწყობს. ბევრი კვლევა, რომელმაც დააჩქარა ბირთვული ენერჯის ათვისება, ამერიკული უნივერსიტეტების ფიზიკის ფაკულტეტებზე ტარდებოდა. აქედან გამომდინარე, განათლების მეოხებით, კულტურული ღირებულებები ნარჩუნდება და გადადის ერთი თაობიდან მეორეზე. ამასთანავე, ახალი ტექნოლოგიური მეთოდების დანერგვითა და არსებული ცოდნის გადაფასებით, განათლება ხელს უწყობს სოციალური ცვლილებების განხორციელებას.

განათლება, როგორც სოციალური კონტროლის მექანიზმი

სკოლების დანიშნულება იმაშია, რომ, ერთი მხრივ, საზოგადოებაში დომინანტი ღირებულებები გააზიარებინოს ბავშვებს, მეორე მხრივ კი, სკოლა არის სოციალური კონტროლის საშუალება.

აშშ-ში განათლების მიღება არის აუცილებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვებმა სკოლაში უნდა გაატარონ დღეში რამდენიმე საათი, ცხრა თვე წელიწადში, ისწავლონ სტანდარტიზირებული სახელმძღვანელოებით. ისინი იმყოფებიან მასწავლებლების მეთვალყურეობის ქვეშ.

თითქმის მთელ დღეს ბავშვების ქცევა სკოლის წარმომადგენელთა კონტროლის ქვეშ არის. ამრიგად, განათლება, რელიგიასთან, ოჯახთან და საკანონმდებლო სისტემასთან ერთად, წარმოადგენს ინსტიტუტს, რომელიც საზოგადოებაში სტაბილურობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

განათლება, როგორც გამფილტრავი საშუალება

ბევრ ქვეყანაში განათლება უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ადამიანის შემდგომ საქმიანობასა და მოღვაწეობაზე. სკოლის დამთავრების შემდეგ ადამიანები სწავლას აგრძელებენ კოლეჯებში, ინსტიტუტებსა თუ უნივერსიტეტებში და აღწევენ კიდევ წარმატებას.



ცხადია, არიან გამონაკლისებიც. უმაღლესი განათლების მიუხედავად, ადამიანებმა შეიძლება იმუშაონ ბარმენებად ან ტაქსის მძღოლებად; ან საშუალო განათლების ადამიანმა დიდ წარმატებას მიაღწიოს ესტრადაზე, სპორტში თუ კინოში.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადამიანთა უმრავლესობისთვის სკოლა და კოლეჯი არის ერთგვარი ფილტრი, რომელიც ეხმარება მათ მომავალი საქმიანობის გასაზღვრაში.

ჰერნის მტკიცებით, ამგვარი ფუნქციონალური მიდგომის თანახმად, განათლება არის ადამიანების, მათი შესაძლებლობების მიხედვით, გონივრული გადანაწილების საშუალება. აქედან გამომდინარე, ყველაზე ნიჭიერები და მონდომებულები უნდა იკავებდნენ ყველაზე კარგ თანამდებობებს. გარდა ამისა, სკოლა ყველას, განურჩევლად სქესობრივი, რასობრივი და კლასობრივი კუთვნილებისა, თანაბარ პერსპექტივებს სთავაზობს მოსწავლეებს.

დაბოლოს, განათლება ხელს უწყობს დემკრატიის განვითარებას, რადგანაც ის ასუსტებს ყველა ცრურწმენას, რომელიც საზოგადოებაში უმცირესობების მიმართ არსებობს.

“ადამიანური კაპიტალის” თეორია

ფუნქციონალიზმის კიდევ ერთ სახეობას “ადამიანური კაპიტალის” თეორია წარმოადგენს. თეორიის თანახმად, განათლება არ წარმოადგენს ისეთ რამეს, რასაც ადამიანი მაშინვე მოიხმარს; განათლება არის კაპიტალდაბანდება მომავლისთვის, რომელიც, როგორც ყველა კაპიტალდაბანდება, მოგების მომტანია.

ჯასტერის განმარტებით, ადამიანები იწყებენ ცხოვრებას, ფლობენ რა რაღაც უ\პოტენციალს – იგულისხმება მათი ბუნებრივი შესაძლებლობები; ეს კაპიტალი იზრდება ადრეულ ბავშვობაში, სკოლის პერიოდში და მოღვაწეობის დაწყებისას, მაგრამ კაპიტალი კარგავს გაყიდვის უნარს ან საერთოდ უფასურდება, თუ ცოდნა და პროფესიონალური მომზადება არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

ამგვარი მიდგომის მიხედვით შეიძლება აიხსნას ადამიანების შემოსავლებს შორის განსხვავება, რომელიც განპირობებულია “კაპიტალდაბანდების” რაოდენობითა და ტიპით, რომელსაც ადამიანები განათლების პროცესში აკეთებენ.

“ადამიანური კაპიტალის” თეორიაში არის “რაციონალური მარცვალი”, რადგანაც მის თანახმად, წარსულში დახარჯული ენერჯია, მომავალში შეიძლება იქნას ანაზღაურებული. ეს ამართლებს უთანასწორობას ადამიანებს შორის, რადგანაც ადამიანები სხვადასხვა მოღვაწეობისთვის სხვადასხვაგვარად ემზადებიან და ამისთვის განსხვავებულ დროსა და ენერჯიას ხარჯავენ.

2. კონფლიქტოლოგიური მიდგომა

ფუნქციონალიზმის მომხრეები ხაზს უსვამენ განათლების პოზიტიურ ხასიათს. რაც შეეხება კონფლიქტოლოგიურ მიდგომას, ის ბევრ საფრთხეზე საუბრობს, რომელიც განათლებას უკავშირდება.

პირველ რიგში იგულისხმება ის ბრძოლა, რომელიც სკოლაში სასწავლი ღირებულებებისთვის მიმდინარეობს. მაგალითად, დიდი დავა იყო იმასთან დაკავშირებით, უნდა ესწავლებინათ თუ არა სკოლებში ევოლუციის თეორია. დარვინის თეორიის მიერ ადამიანის წარმოშობის ბიბლიური ვერსიის ეჭვქვეშაყენება ბევრ დავას იწვევდა.



მართალია, აშშ-ის სკოლებში დარვინის თეორია სასწავლო კურსში ჩართეს და ის ყველგან ისწავლებოდა, მაგრამ რელიგიურმა ჯგუფებმა მოითხოვეს და მიაღწიეს იმას, რომ იმდენივე დრო ადეთმოთ “სამყაროს შექმნის რელიგიური თეორიისთვის”.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში განათლების სოციოლოგიაში ფუნქციონალური მიდგომა დომინირებდა, მაგრამ კონფლიქტოლოგიური მიდგომის მომხრეებმა (ან რადიკალური მიდგომის) ბევრი რამ იმთავითვე ეჭვქვეშ დააყენეს.

კონფლიქტოლოგიური თეორიის მომხრეები აცხადებდნენ, რომ განათლებას ჯგუფებს შორის კონფლიქტის წარმოშობა შეუძლიათ და გულისხმობდნენ იმას, რომ განათლება არასახარბიელო პირობებში მყოფი ჯგუფების ექსპლუატაციას უწყობდა ხელს.

ილიხი და “უარი მასობრივ განათლებაზე”

1971 წელს ივან ილიხმა დაწერა წიგნი “განათლება, რომელმაც უარი თქვა განათლებაზე”, რასაც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა საზოგადოებაში. ილიხი აცხადებდა, რომ აუცილებელ უარი ეთქვას აუცილებელ განათლებას და რომ დამქირავებელი არ უნდა დაინტერესდეს პოტენციური მუშაკის განათლების შესახებ.

ამ მიდგომის თანახმად წყდებოდა კავშირი განათლებას, სამსახურსა და შემოსავალს შორის, რასაც ასე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფუნქციონალისტები.

ილიხი იცავდა პოზიციას, რომლის თანახმადაც განათლება სკოლებში არ ავითარებდა შემეცნებით და დამოუკიდებელი აზროვნების უნარებს. პირიქით, ილიხი ამტკიცებდა, რომ მასობრივი განათლება ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ადამიანებში იწვევდა არასრულფასოვნების კომპლექსს.

სკოლის ნაცვლად ილიხი სპეციალური კერძო სასწავლებლების შექმნაზე აკეთებდა აქცენტს, სადაც უნდა ადამიანებს ესწავლათ ის საქმე, რომელიც მათ მოსწონდათ. სამუშაოზე მიღების დროს კი, დამქირავებლისთვის კრიტერიუმი უნდა ყოფილიყო არა ნიშნები, არამედ წარსული გამოცდილება.

განათლება, როგორც ბრძოლა სტატუსისთვის

განათლების პროცესი არა მხოლოდ ამზადებს ადამიანს კონკრეტული მოღვაწეობისათვის, არამედ გავლენას ახდენს მის სტატუსზე. ბევრი ადამიანის ცხოვრებაში განათლება ხელს უწყობს ადამიანს სოციალურ კიბეზე პოზიციის ამადლებაში, ანუ სოციალურ მობილობაში.

ამრიგად, განათლებას ერთდროულად აქვს როგორც პრაქტიკული, ასევე სიმბოლური მნიშვნელობა. ადამიანები, მაგალითად, იყენებენ სამედიცინო დიპლომს პრაქტიკული დანიშნულების მიხედვით, ანუ მუშაობენ როგორც ექიმები. მაგრამ მეორე მხრივ, ექიმის დიპლომს აქვს სიმბოლური მნიშვნელობა – ის არის პრესტიჟულობის სიმბოლო. ანუ, დიპლომი ხდება სოციალური სტატუსის სიმბოლო და ირიბი ასახვა განათლების სიმბოლური ასპექტისა.

რენდალ კოლინზი ამტკიცებს, რომ აშშ-ში განათლების სისტემის გაფართოება გამოწვეულია არა იმდენად კვალიფიცირებული კადრების საჭიროებით, რამდენადაც სხვადასხვა ჯგუფების მიერ სიმდიდრისა და პრესტიჟისთვის ბრძოლით. “სტატუსური ჯგუფები” მუდმივად ებრძვიან ერთმანეთს – პრივილეგირებულები ებრძვიან ნაკლებად პრივილეგირებულებს; ეს უკანასკნელნი კი ცდილობენ მაქსიმალურად მოიპოვონ პრივილეგიები. შედეგად ჩნდება კონფლიქტი, რომლის დროსაც პრივილეგირებულები გარკვეული “სტანდარტებისადმი” შესაბამისობას, დაქვემდებარებულები კი –



სიკეთეებისადმი “ხელმისაწვდომობას” ითხოვენ. ეს კი იწვევს განათლების სისტემის გაფართოებას, რაც ეკონომიკის რეალურ მოთხოვნებს სცილდება.

ნეომარქსისტული თეორია

თუ კოლინზის თეორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა “სტატუსურ ჯგუფებს” ენიჭება, მეორე ასევე კონფლიქტურ თეორიაში მნიშვნელოვანია თავად საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა.

მარქსისტი თეორეტიკოსების, ბოულზისა და გინტისის აზრით, შეუძლებელია განათლების სისტემის გაგება თავად იმ საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის გაგების გარეშე, რომელშიც განათლება არსებობს.

ბოულზისა და გინტისის მტკიცებით, სკოლა აღზრდის ადამიანში იმ თვისებებს, რომელიც კონკრეტული კლასისთვის არის აუცილებელი. მაგალითად, კაპიტალისტურ სამყაროში მთავარია ისეთი თვისებების აღზრდა, როგორც არის პუნქტუალურობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, დისციპლინირებული მუშაობა.

მათი მტკიცებით, სკოლა ხელს უწყობს ეკონომიკური უთანასწორობის ხაზგასმას.

3. თანამედროვე განათლების ისტორია

ამ ეტაპზე დაწყებითი განათლება აშშ-ში ყველა ამერიკელისთვის არის აუცილებელი და ხშირად არის უფასო. საშუალო განათლება ასევე არის ფართოდ გავრცელებული. უმაღლესი განათლებაც გახდა ხელმისაწვდომი მეტად, ვიდრე სხვა დროს. მაგრამ განათლება ფართოდ უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში გავრცელდა. და ამას კონკრეტული სოციალური ცვლილებები უდევს საფუძვლად.

დემოკრატიული რევოლუცია

პირველი ძირეული ცვლილება არის დემოკრატიული რევოლუცია. საფრანგეთის რევოლუციის (1789-1792წწ.) მაგალითი ცხადჰყოფს, რომ ამის მიზეზი სხვადასხვა კლასების სურვილი იყო მონაწილეობა მიეღოთ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამ მოთხოვნის საპასუხოდ, გააფართოეს განათლების მიღების შესაძლებლობები. სწორედ ამიტომ, 30-იან წლებში აშშ-ის განათლების რეფორმატორებს ყველაზე მეტად მომავალი ამომრჩევლის განათლების სწავლა-განათლება აღელვებდათ.

მოგვიანებით, 1867 წელს განათლების რეფორმის შესახებ კანონი დიდ ბრიტანეთში მიიღეს. მის თანახმად, ხმის მიცემის უფლება მუშათა კლასს მისცეს.

სამრეწველო რევოლუცია

მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა თანამედროვე განათლების ისტორიაში იყო სამრეწველო რევოლუცია. მრეწველობის განვითარების საწყის ეტაპზე, როდესაც ტექნოლოგია ნაკლებად იყო განვითარებული, მუშებს კი მაღალი კვალიფიკაცია არ სჭირდებოდათ, განათლებული კადრის აუცილებლობა არარსებობდა. მაგრამ მრეწველობის განვითარებამ განათლების სისტემის გაფართოება აუცილებელი გახადა.



ქვეყნებში, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებისთვის ებრძოდნენ ერთმანეთს, მალე გააცნობიერეს, რომ უპირატესობა მრეწველობაში მჭიდროდ უკავშირდება განათლების მაღალ დონეს. ამდენად, დაიწყო განათლების სისტემის სრულყოფა.

განათლება, როგორც ინსტიტუტი

მესამე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც ხელი შეუწყო განათლების სისტემის განვითარებას, თავად განათლების ინსტიტუტის განვითარებას უკავშირდება. ინსტიტუტის არსებობა ნიშნავს სახელმწიფოს მიერ მის განვითარებაზე ზრუნვას და ამისთვის ბიუჯეტში თანხების გათვალისწინებას.

4. განათლება საზოგადოებაში

თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში განათლების დამახასიათებელ თვისებას ის წარმოადგენს, რომ ის ადრე თუ გვიან ხდება უფასო და აუცილებელი. ამ ტენდენციას საფუძველი გერმანიაში, XVIII საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა და შემდეგ სხვა ქვეყნებში გავრცელდა.

განვითარებულ და შედარებით ჩამორჩენილ ქვეყნებშიც იგულისხმება, რომ საზოგადოების მოდერნიზაციისთვის განათლებული მოსახლეობა არის აუცილებელი.

სოციოლოგები აცხადებდნენ, რომ განათლება რამდენიმე ეტაპისგან შედგება. სკოლამდელი განათლება (2-5 წელი) მიიღება საბავშვო ბაღში, სადაც ის თითქმის არაფრით არ განსხვავდება სახლის/საშინაო განათლებისგან. ამ დროს ხდება ელემენტარული ჩვევების განვითარება.

შემდეგ არის დაწყებითი სკოლა (5-12 წელი), სადაც ხდება უფრო რთული ჩვევების განვითარება და ზოგადი ცოდნის მიღება.

საშუალო განათლებისას (12-16 წელი) ხდება უფრო სპეციფიკური ცოდნის მიღება, ზოგჯერ კი პროფესიული განათლების მიღებაც.

დაბოლოს, უმაღლესი განათლების მიღებისას აქცენტი კეთდება ზუსტი და ჰუმანიტარული მეცნიერების, ასევე ტექნიკური დისციპლინების შესწავლაზე.

განათლების პროცესის ამგვარი დაყოფა ასახავს მოსწავლეთა როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებს.

მასობრივი და ელიტარული განათლება

შუასაუკუნეების ევროპაში უმაღლესი განათლების ყველა სისტემას შეიძლება ეწოდოს ელიტარული, რადგანაც ის მხოლოდ უმცირესობისთვის (1-5%) – საზოგადოების უმაღლესი ფენებისთვის იყო ხელმისაწვდომი. იქ მთავარი მნიშვნელობა ენიჭებოდა სპეციალიზირებულ ჰუმანიტარულ ცოდნას, რომელსაც “ნამდვილი ჯენტლმენი” უნდა აღეზარდა. ამ ტენდენციას ადგილი ბევრ ქვეყანაში ქონდა. თუმცა, XX საუკუნეში, ძალიან ბევრ ქვეყანაში ელიტარული განათლება წარსულს ჩაბარდა.

უმაღლესი განათლება გახდა უფრო გავრცელებული, როდესაც მისი მიღების შესაძლებლობა აბსოლუტურად განსხვავებული კლასისა თუ ფენის წარმომადგენელს მიეცა.

არსებობს განათლების აბსოლუტურად განსხვავებული მოდელები.



როგორც ფრანგმა დიურკემმა აღნიშნა, განათლება ყველა სოციალური ჯგუფისთვის ერთიდაიგივე როდია. მანამ სანამ არსებობს სოციალური სტრატეფიკაცია, განათლება სხვადასხვა დონეზე განსხვავებული იქნება.

ბრიტანული მოდელის თანახმად, XIX საუკუნეში სტრატეფიკაცია იყო აშკარად გამოკვეთილი. განსხვავებული ტიპის სკოლებში მოსწავლეებს ძალიან კონკრეტული მიზნებისთვის ამზადებდნენ. გარდა ამისა, დაფინანსების წყაროები სკოლებს ჰქონდათ განსხვავებული. არსებობდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სკოლები, სადაც მაღალი ფენის წარმომადგენლები სწავლობდნენ.

რაც შეეხება მუშათა კლასს, მათი შვილები საქველმოქმედო და რელიგიურ ორგანიზაციებსა და მათ მიერ გაღებულ თანხებზე იყვნენ დამოკიდებული.

გარდა ამისა, არსებობდა ბევრი რელიგიური სასწავლო დაწესებულება.

ამერიკული მოდელი კი, ბრიტანულისგან განსხვავებით, ნაკლებად არის დაკავშირებული კლასობრივ სტრუქტურასთან.

მართალია, XIX საუკუნეში არსებობდა კერძო და სახელმწიფო სკოლები; თავდაპირველად, ასევე განსხვავება იყო რელიგიური, რასობრივი და ეთნიკური ნიშნებით. არსებობდა ასევე სკოლები თეთრებისა და შავკანიანებისთვის.

მნიშვნელოვანი იყო აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ 1954 წელს მიღებული გადაწყვეტილება საქმესთან დაკავშირებით, რომელსაც “ბრაუნი განათლების სამინისტროს წინააღმდეგ” ერქვა. ამ გადაწყვეტილებით მოიხსნა სეგრეგაცია იურიდიულად, თუმცა სეგრეგაცია დე-ფაქტო მაინც არსებობდა. ამ გადაწყვეტილების შემდეგ დაიწყო თეთრკანიანი ბავშვების სპეციალური ავტობუსებით გადაყვანა იმ რაიონებსა და სკოლებში, სადაც შავკანიანები სწავლობდნენ. და მიუხედავად იმისა, რომ ვითარება ამ თვალსაზრისით გაუმჯობესდა, ერუდიციის კოეფიციენტი შავკანიანებსა და ლათინოამერიკელებს შორის მაინც დაბალია. და ეს განსხვავებულ ინტელექტუალურ მაჩვენებლებს სულაც არ უკავშირდება.

ფრანგი ფსიქოლოგის ჟან პიაჟეს მიერ შემუშავებული გონებრივი განვითარების სტანდარტული ტესტის მიხედვით ირკვევა, რომ განსხვავებული მაჩვენებლები უმცირესობების ინტელექტუალურ შესაძლებლობებს სულაც არ უკავშირდება. ყველა ბავშვს, მიუხედავად მისი ეთნიკური, სოციალურ-ეკონომიკური კუთვნილებისა, აქვს ერთნაირი შესაძლებლობები. უბრალოდ, ყველაზე დიდ პრობლემას ენობრივი ბარიერი წარმოადგენს.

სწორედ იმის გამო, რომ ბავშვებმა არ იციან ლიტერატურული ინგლისური, მათ ექმნებათ პრობლემები. გარდა ამისა, არსებობს სწავლების მეთოდები, რომლებიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს უმცირესობის კულტურულ ღირებულებებთან.

მაგალითად, ძირძველი ამერიკელები ბავშვების მიერ ბევრ საუბარს ცუდ ტონად მიიჩნევენ, ამიტომ საუბრის დაწყება და ინიციატივის გამოჩენა ბავშვებს უჭირთ.

ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული განათლება

განათლება არასდროს არის დაკავშირებული მხოლოდ სკოლასთან, ოჯახთან ან სხვა ჯგუფთან. იმის გამო, რომ განათლება ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური ერთობისთვის, ის ყოველთვის იყო სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ. კავშირი განათლებასა და სახელმწიფოს შორის ხასიათდება განათლებაზე ცენტრალიზაციის კონტროლის ხარისხით.



საბჭოთა კავშირში განათლება იყო მკაცრად ცენტრალიზებული, რომელსაც ორი სამინისტრო აკონტროლებდა. ამ სამინისტროებს კი კომუნისტური პარტია აკონტროლებდა. ყველანი ისინი წყვეტდნენ გამოშვების პროცესს და მათი მთავარი მიზანი არა მასების განათლების ამაღლება, არამედ სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება იყო.

ჩინეთში ასევე ცენტრალიზებულია განათლების სისტემა, სადაც გაკვეთილებს ატარებდნენ არა მხოლოდ სკოლებში, არამედ ქარხნებში, კომუნებში; ჰქონდათ სპეციალური გადაცემები ტელევიზიასა და რადიოში.

განსხვავებით ამ სისტემებისგან, განათლების ამერიკული სისტემა ყოველთვის იყო მეტ-ნაკლებად დეცენტრალიზებული. ფედერალური ხელისუფლება არასდროს არ აწარმოებდა პირდაპირ კონტროლს განათლების სისტემაზე. თუმცა, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სახელმწიფოს გავლენა განათლებაზე უფრო შესამჩნევი გახდა. ეს განპირობებულია სახელმწიფო ფონდების შექმნით, სტუდენტებისთვის ფინანსური დახმარების გაწევით, ასევე პოლიტიკური ღონისძიებებით, რომელიც სხვადასხვა წამოწყებას უჭერს მხარს.

ტექნიკური და ზოგადი განათლება

განათლების სისტემა ხშირად გამოიყენება ეკონომიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. როგორც უკვე აღინიშნა, საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში განათლება მრეწველობაში აუცილებელი თვისებების აღზრდაზე იყო ორიენტირებული. ამიტომაც, ამ ქვეყნების განათლების სისტემაში მთავარი მნიშვნელობა ტექნიკურ, პროფესიულ და სამეცნიერო მომზადებას ენიჭება.

ჰუმანიტარული განათლება, რომელიც აშშ-ში არსებობს, არსებითად განსხვავდება საბჭოთა სისტემისგან. ტიპური ამერიკული ოთხწილიანი ჰუმანიტარული პროგრამები არ ამზადებს ადამიანებს პროფესიული საქმიანობისთვის. მაგრამ ბევრ კოლეჯსა თუ უნივერსიტეტში ჰუმანიტარული პროფილით, არსებობს პრაქტიკული, პროფესიული და ტექნიკური კურსები. მაგალითად, ჰუმანიტარული პროფილის ბევრ სასწავლებელში არსებობს ჟურნალისტიკის ან ტექნიკის კურსები.

ამასთანავე, ბევრ ტექნიკური პროფილის სასწავლებელში არსებობს კურსები, სადაც ჰუმანიტარული მეცნიერების სწავლაა შესაძლებელი.

5. განათლება ამერიკაში

განსხვავებების მიუხედავად, სკოლა ყველა საზოგადოებაში წარმოადგენს ფორმალურ ორგანიზაციას, რომელც ცდილობს გარკვეული მიზნების მიღწევას. მეტიც, სკოლების უმრავლესობა ბიუროკრატიულ პრინციპებზეა შექმნილი. **ბიუროკრატია – ეს არის ორგანიზაცია, სადაც მუშაობენ სამტატო მაღალკვალიფიციური თნამშრომლები, რომელთა როლებიც მკაცრად არის განსაზღვრული. გარდა ამისა, ბიუროკრატია ახასიათებს ხელისუფლების იერარქიზაციას.**

სკოლა ამ განსაზღვრებას აბსოლუტურად პასუხობს. იქ მუშავენს აქვთ მკაცრად რეგლამენტირებული ვალდებულებები, რომლებიც კოდექსისა და სტანდარტების მიხედვით კონტროლირდება. თავად კოდექსს ადგენენ სკოლის ხელისუფლების წარმომადგენლები: პედსაბჭო, დირექტორი და სხვები.



იმ დროს, როდესაც სკოლა მხოლოდ ერთი კლასისგან შედგებოდა, ბიუროკრატია არც არსებობდა. ერთი და იგივე ადამიანი ერთდროულად რამდენიმე როლს ასრულებდა – მასწავლებლის, მდივნის, დამლაგებლის და ა.შ. თავად სწავლების მეთოდიკაც მასწავლებლის მიერ განისაზღვრებოდა. მაგრამ, როგორც კი სკოლა დაიყო კლასებად და გახდა რამდენიმე საფეხურიანი (დაწყებითი და საშუალო), ის გახდა ბიუროკრატიული. მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილება განსაზღვრავდა დიპლომის გაცემა-არგაცემას, იყო სტანდარტიზებული. დაწესდა სპეციალური წესები, რომლებიც სამსახურეობრივ კიბეზე გადაადგილებასა და დაწინაურებას უწყობდა ხელს.

დღეისთვის, განათლება საკმაოდ რთულ სისტემას წარმოადგენს, სადაც ბევრი რთული კურსის გავლაა საჭირო. შესაძლოა, ბევრ ადამიანს ენატრება წარსული, როდესაც სწავლა გაცილებით მარტივი იყო და სისტემა ნაკლებად იყო ბიუროკრატიული.

თუმცა, განათლების ბიუროკრატიზაციას აქვს გარკვეული უპირატესობებიც. იმ დროს, როდესაც წარსულში სკოლა მხოლოდ წერა-კითხვასა და ელემენტარულ არითმეტიკას ასწავლიდა, დღეს ის ბავშვის “ყოველმხრივ განვითარებაზე” ზრუნავს.

კიდევ ერთი ელემენტი ბიუროკრატიული სისტემისა – წესების რაოდენობის გზარდა, ასევე არის დადებითი მოვლენა. წესებს შეუძლია უზრუნველყოს როგორც მოსწავლეების, ასევე მასწავლებელთა დაცვა დისკრიმინაციის, დაუსაბუთებელი გარიცხვისა თუ თანამდებობიდან გათავისუფლებისგან.

როლური კონფლიქტები

განათლების ბიუროკრატიული სისტემის ერთ-ერთნაკლს მასწავლებლებს შორის არსებული როლური კონფლიქტები წარმოადგენს. დაწყებით და საშუალო სკოლებში კონფლიქტი შეიძლება გაჩნდეს მოსწავლეთა დისციპლინასთან დაკავშირებით. თუ მოსწავლე ცუდად იქცევა, მასწავლებლის წინაშე დგას საკითხი – გაამეგოს ის კლასიდან თუ არ მიაქციოს ამ ფაქტს ყურადღება.

კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში დგას პრობლემა, გააგრძელონ სამეცნიერო მუშაობა ფაკულტეტის შიგნით, თუ მის გარეთ. ისინი, ვინც ირჩევს პირველ გზას, რჩებიან ფაკულტეტზე და ასწავლიან. რაც შეეხება მეორე გზას, ამ შემთხვევაში ადამიანები აწარმოებენ სამეცნიერო კვლევას, წერენ ნაშრომებს, მონაწილეობენ კონფერენციებში და მუშაობენ კონსულტანტების რანგში.

პირველ შემთხვევაში, მუშაობა ფაკულტეტის სასარგებლოდ მიმდინარეობს, მეორე შემთხვევაში კი, საკუთარი თავის სასარგებლოდ.

პროფესორ-მასწავლებლები ხშირად ხდებიან ადმინისტრატორები. აქაც ადგილი აქვს როლურ კონფლიქტებს. მათ უწევთ ისეთი გადაწყვეტილებების მიღება (მაგალითად, ბიუჯეტის შემცირება), რომელიც მის კოლეგა პროფესორ-მასწავლებლებში უარყოფით რეაქციას, კოლეგა-ადმინისტრატორებში კი - მხოლოდ მოწონებას იმსახურებს.

თანატოლების ჯგუფის ზეგავლენა

გარდა მასწავლებლებისა, პიროვნების ჩამოყალიბებაზე დიდ ზეგავლენას თანატოლები ახდენენ.

50-იანი წლების ბოლოს ჯეიმს ქოულმანმა ჩაატარა კვლევა და შეისწავლა 10 საშუალო სკოლის სოციალური სტრუქტურა. აღმოჩნდა, რომ პოპულარობითა და მაღალი სოციალური სტატუსით სარგებლობენ ბიჭები, რომლებიც სპორტით არიან დაკავებულნი



და სასიამოვნო გარეგნობის გოგონები. რაც შეეხება კარგ ნიშნებსა და წარმატებებს სწავლაში, მას პოპულარობის დაბალი კოეფიციენტი ჰქონდა.

ანალოგიური შედეგები გამოვლინდა კოლეჯებშიც. მარტინ თროუმ ერთმანეთს შეადარა ოთხი ტიპის “კულტურა”, რომლებიც კოლეჯებში ჩამოყალიბდა. თროუმ გამოყო ოთხი ჯგუფი - “კოლეგიალები”, “პროფესიონალები”, “აკადემიკოსები” და “ნონკონფორმისტები”.

“კოლეგიალებს” უყვართ საღამოების მოწყობა და სპორტით არიან დაკავებულნი; წიგნები და კარგი ნიშნები მათთვის მეორეხარისხოვანია.

“პროფესიონალები” ცდილობენ კარგად ისწავლონ, მაგრამ პროფესორების აკადემიური მუშაობა ნაკლებად აინტერესებთ.

“აკადემიკოსები” დაკავებულები არიან სწავლით და აკეთებენ ამას მთელი სულითა და გულით და არა გამორჩენისთვის.

“ნონკონფორმისტები”, ანუ ბოჰემის წარმომადგენლები მნიშვნელობას არ ანიჭებენ არც სწავლას და არც პროფესიულ ინტერესებს; ისინი ცხოვრების განსაკუთრებულ წესს მისდევენ და ეჭვის თვალით უყურებენ საზოგადოებაში გამეფებულ ღირებულებებს.

განათლების გავლენა

განათლების ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას სოციალიზაცია წარმოადგენს. მაგალითად, ცნობილია, რომ კოლეჯის სტუდენტებს შორის, რომლებიც განსხვავებული ეთნიკური, სოციალური ან ეკონომიკური ჯგუფის წარმომადგენლები არიან, განათლების შედეგად ყალიბდება იმგვარი ურთიერთობა, რომლის დროსაც ყველანი ისინი იძენენ მსგავს ღირებულებებს და უყალიბდებათ მსგავსი პოზიციები. მაგალითად, ისინი ერთმანეთის მიმართ უფრო ლოალურები ხდებიან.

ამასთანავე, კოლეჯში შეძენილი ცოდნის შედეგად ადამიანებს უყალიბდებათ უფრო ლიბერალური პოლიტიკური შეხედულებები. მაგალითად, რესპუბლიკელების გარემოცვაში გაზრდილ სტუდენტებს უყალიბდებათ გარკვეული პოლიტიკური შეხედულებები და ისინი მიიჩნევენ, რომ მათ შეხედულებებზე გავლენა მოახდინა კოლეჯმა.

სხვა ჯგუფებთან ინტენსიური და ხანგრძლივი ურთიერთობების შედეგად ასევე იცვლება ადამიანების რელიგიური შეხედულებები იცვლება მათი ფორმალური რელიგიური ქცევა – ისინი იშვიათად დადიან ეკლესიაში ან სინაგოგაში, სამაგიეროდ, ხშირად ეწევიან და სვამენ სპირტიან სასმელებს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ სტუდენტური ცხოვრება რელიგიური ცხოვრების წესს ცვლის, რაღაცეებით ანაცვლებს. სწავლის პროცესში ადამიანები უფრო დამოუკიდებლებიც ხდებიან.

საწინააღმდეგო ტენდენცია შეინიშნება სასწავლებლებში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება კონკრეტული პროფესიის სწავლას ენიჭება. სამედიცინო, ასევე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა კვლევამ გამოავლინა, რომ კოლეჯში სწავლს დაწყებამდე მათ აქვთ განსხვავებული პოზიციები, კოლეჯში ან უნივერსიტეტში სწავლისას კი, მათ უყალიბდებათ მყარი პოზიციები მათი კოლეგების მსგავსი ღირებულებებით. მაგალითად, სამედიცინო სასწავლებლის წარმატებულ სტუდენტებს უყალიბდებათ კონსერვატიული პოლიტიკური შეხედულებები და საკუთარი საქმისადმი ერთგული დამოკიდებულება, რაც დამახასიათებელია პრაქტიკოსი ექიმებისთვის. ამგვარი ცვლილება განპირობებულია სტუდენტების იზოლაციითა და გარე ზეწოლის არარსებობით.



სოციალური ფაქტორების ზემოქმედება განათლებაზე

განათლების მკვლევრები ინტერესდებოდნენ ისეთი სოციალური ფაქტორებით, როგორებიცაა სოციალური კლასი, რასა და სქესი.

სოციალური კლასი – როგორც ირკვევა, პედაგოგები ხშირად უკეთეს პოზიციაში აყენებენ ბავშვებს მაღალი კლასიდან და ნაკლებ ყურადღებას უთმობენ დაბალი კლასის წარმომადგენელთა ინტერესებს. ამგვარი დამოკიდებულება შეიძლება იმით აიხსნას, რომ მასწავლებლებმა კარგად გაითავისეს საშუალო კლასის ღირებულებები და ცნობიერად თუ არაცნობიერად ხდება მათთვის მნიშვნელოვანი და ახლო ღირებულებების წახალისება. მასწავლებლებს უკეთ ესმით მათი, ვინც იმავე გარემოცვაში გაიზარდა, რომელშიც თავად ისინი. შედეგად, ჩნდება დაბალი კლასის წარმომადგენელთა ირიბი დისკრიმინაცია. ცუდი ეკონომიკური პირობების გარდა, ამ ბავშვებს ეს დისკრიმინაციაც ხელს უშლის საშუალო სკოლაში წარმატების მიღწევაში.

ეს ბავშვები ზარალდებიან იმ შემთხვევაშიც, როდესაც შეძლებულ მშობლებს თავიანთი შვილები კერძო სკოლებში გადაყვავთ.

მეორე პრობლემაა ასევე უფროსების განათლების დაბალი დონე. მიუხედავად იმისა, რომ განათლება უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ძალიან ფართომასშტაბიანი გახდა, მაინც ძალიან დიდია იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთა განათლების დონე დაბალია.

განათლება ხშირად ფასდება გარკვეული ზოგადი ნიმუშების მიხედვით. მაგალითად, 1971 წელს, ჰარისის მიერ ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე გამოვლინდა, რომ უფროსი თაობის წარმომადგენელთა 15%-იც კი დიდი სირთულით კითხულობს უმარტივეს კითხვებს. განათლება შეიძლება შეფასდეს ასევე გავლილი კლასების რაოდენობის მიხედვით. მაგრამ, მაინც შეიძლება ითქვას, რომ განათლების დაბალი დონის მქონე ადამიანები მრავლად არიან ღარიბი კლასის წარმომადგენელთა შორის.

რაც შეეხება **რასობრივ და ეთნიკურ** წარმომავლობას, ამ კლასების სხვა კლასების წარმომადგენლებთან ინტეგრაციას, ის დადებით ეფექტს ატარებს. მართალია, მაგალითად, “შავი” რასის წარმომადგენლები მაინც ნაკლები უნარებითა და განათლების შედარებით დაბალი დონით გამოირჩევიან, მაგრამ ინტეგრაცია მათი დონის ამაღლებაზე დადებითად აისახება.

განათლების პროცესზე სქესობრივი როლებიც ახდენს გავლენას. “უმცირესობის” წარმომადგენელთა მსგავსად, განათლების სისტემაში ქალიც დისკრიმინაციის ობიექტი იყო. წარსულში განათლება ქალებისთვის ძირითადად დახურული იყო. მხოლოდ მას შემდეგ გაიხსნა ეს სისტემა ქალებისთვის, რაც ეკონომიკის განვითარებისთვის “ქალების ცოდნაც” გახდა აუცილებელი. დღეს სულ უფრო იზრდება ქალების რაოდენობა იმ სფეროებში, რომელიც ადრე მამაკაცების მიერ იყო ათვისებული. და მიუხედავად ამისა, მათი სოციალური და ეკონომიკური დაჯილდოვება განსხვავდება მამაკაცებისგან. მაგალითად, ქალებს, რომელთაც მამაკაცის მსგავსი განათლების ხარისხი აქვთ, იშვიათად თუ იკავებენ იგივე პოსტებს ან აქვთ იგივე ხელფასი, რაც მამაკაცებს. ზოგიერთი სფეროდან კი ქალები საერთოდ გამორიცხეს.

ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს მასწავლებლების მიერ მათემატიკისა და ზუსტი მეცნიერებების სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღების დათმობა ბიჭებისთვის. შედეგად, გოგონები ჩამორჩებიან სასწავლო პროგრამებს. გარდა ამისა, ხშირად გოგონები თავს მიიჩნევენ არაადექვატური შესაძლებლობების მქონეებად ზოგიერთ სფეროში, მაგალითად, ბირთვული ფიზიკის ან ინჟინერიის სფეროში.



გარდა ამისა, მუშაობს ბევრი სტერეოტიპიც. მაგალითად, გოგოები და ბიჭები ცალ-ცალკე დადიან სპორტზე. გარდა ამისა, მათ წარმოდგენებზე ზეგავლენას თავად მასწავლებლების სქესიც ახდენს გავლენას. ადმინისტრაციულ თანამდებობებს, როგორც წესი, მამაკაცები იკავებენ. ამიტომაც, გოგონებს აქვს ნაკლები მოტივაცია განაგრძონ სწავლა კოლეჯში ან დოქტორანტურაში.

პოლიტიკური გავლენა – განათლებაზე გავლენას პოლიტიკური მდგომარეობაც ახდენს. ადგილობრივ დონეზე გავლენას დაწყებით და საშუალო სკოლებზე ახდენს ადგილობრივი პედსაბჭოები. თუმცა, თავად პედაგოგიური საბჭოები ყოველთვის ერთი და იგივე ჯგუფის ინტერესებს არ გამოხატავენ.

ადგილობრივ დონეზე პედსაბჭო ფინანსირდება სამთავრობო ფონდების მიერ. კოლეჯებისა და უნივერსიტეტების მნიშვნელოვანი ნაწილიც ფინანსირდება ფედერალური ხელისუფლების ფონდებიდან. ამრიგად, ხელისუფლება, ასე თუ ისე, მაინც განსაზღვრავს, თუ ვინ მიიღება კონკრეტულ ფაკულტეტებზე და განსაზღვრავს ჩატარებული კვლევების ხაიათსაც.

განათლება და სოციალური მობილობა

ამერიკელები ყოველთვის ფიქრობდნენ, რომ რაც უფრო მაღალია განათლების დონე, მით მეტია წარმატების შანსი. ეს ნიშნავს, რომ განათლება ბევრი წინააღმდეგობის დაძლევის საშუალებას იძლევა.

თუმცა, რეალობა ცხადჰყოფს, რომ წარმატებაზე, განათლების გარდა, სხვა ბევრი ფაქტორიც ახდენს გავლენას. კერძოდ, მშობლების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი. ქოულმანი კი მივიდა დასკვნამდე, რომ წარმატებაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ოჯახური გარემო და კლასობრივი თავისებურებები.

მაგალითად, წარმატებული მშობლები წარმოადგენენ მაგალითს შვილებისთვის; მათ უჩნდებათ სურვილი ასევე იყვნენ წარმატებულები.

ამდენად, სოციოლოგთა ნაწილი მიიჩნევს, რომ წარმატებისთვის მნიშვნელოვანია განათლების ხარისხი; მეორე ნაწილი კი თვლის, რომ ხარისხზე მეტად მნიშვნელოვანია კლასობრივი კუთვნილება და გარემო, რომელშიც ადამიანი სოციალიზაციის პროცესს გადის.